პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 20 00365528

07/05/2020

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომიუტერული ქსელისა და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, **რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები** (**დანართი).**

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 მაისის № 365325 ოქმის 29 აპრილის მესამე ნაწილი და ექსპერტთა დასკვნა ცნობილი იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120